მიწისძვრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

14 ოქტომბერს, სამუშაო დღის დილის 11:00 საათზე, გურიაში დაფიქსირდა მიწისძვრა. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 6.5 მაგნიტუდა შეადგინა. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს დაბა ჩოხატაურის სამხრეთით – 18კმ-ში, კურორტი გომისმთიდან 5კმ-ში (კოორდინატი 41.843349° 42.091334°).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა 7 ბალის ეფექტის სეისმური რყევები (დანართი 13.1).

დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე ადგილი აქვს შენობა-ნაგებობების ძლიერ, საშუალო და მსუბუქი ხარისხის დაზიანებებს. კერძოდ, ძლიერი დაზიანება მიიღო შენობათა 5%-მა, საშუალო 40%-მა, ხოლო მსუბუქი 55%-მა.

მიწისძვრის შედეგად ჩოხატაურის ტერიტორიაზე გააქტიურდა მეწყრული პროცესები. მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად, შეიკრიბა საგანგებო შტაბი. შტაბის გადაწყვეტილებით, საძიებო-სამაშველო სამუშაოების პარალელურად, სახანძრო-სამაშველო ჯგუფები ახორციელებენ შეფასებით სამუშაოებს.

პირველადი შეფასების საფუძველზე, გამოვლინდა ძლიერი ნგრევის კერები დაბა ჩოხატაურის ცენტრში, კერძოდ ნ. დუმბაძის ქუჩაზე: ნგრევის ზონაშია (ნ. დუმბაძის პარკთან) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს წითელი ჯვრის ოფისი და ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი (პერსონალი და სხვა, სულ 25 ადამიანი), ნგრევის ზონაშია ,,პსპ'' და ,,ავერსის'' აფთიაქების შენობები (სულ 15 ადამიანი), ,,კრედო ბანკი'' (სულ 25 ადამიანი) და ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობა და მუზეუმი (სულ 20 ადამიანი), ,,ლიბერთი'' ბანკი (სულ 20 ადამიანი), ამავე ქუჩაზეა დევნილთა საერთო საცხოვრებელი და 5 სავაჭრო ობიექტი (სულ 35 ადამიანი).

ასევე ძლიერ დაზიანდა: წერეთლის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა (თანამშრომელი 100 ადამიანი) და მერიის წინ მიმდებარე შენობა-ნაგებობა და ობიექტები, სამრევლოს სკოლის სამსართულიანი შენობა (სულ 440, აქედან 400 მოსწავლე, 40 მასწავლებელი) და საბავშვო ბაღი (პერსონალი და ბავშვები, სულ 80 ადამიანი).

ნაწილობრივ დაინგრა (საშუალო ნგრევა): სამრევლოს სკოლა; ბიბლიოთეკა; ჯანდაცვის ცენტრის ორსართულიანმა შენობა.

მსუბუქი ნგრევა: აღმაშენებლის, რუსთაველის და კალანდაძის ქუჩები.

მიწისძვრის შედეგად დაზიანდა მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები, რის შედეგადაც მოსახლეობას შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. ასევე, მოსახლეობის ნაწილს არ მიეწოდება სასმელი წყალი. დაზიანებულია გაზსადენი მილები და გაზრდილია ხანძრის საშიშროების რისკი.

მიწისძვრის შედეგად გააქტიურდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული მეწყრული ზონები, კერძოდ:

- სოფელი დიდი ვანი - საავტომობილო გზის მონაკვეთი;
- სოფელი შუა სურები - მეწყერი საავტომობილო გზა;
- სოფელი ერკეთი - საავტომობილო გზა, საშიშროება ემუქრება ერკეთს საბავშვო ბაღს;

- სოფელი ნაბეღლავი (ქვაბღა) - სოფელ ზოტის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთი. (6 ოჯახი);
- სოფელი ფარცხმა - საშიშროების ქვეშ მოქცეულია საცხოვრებელი სახლები (3 სახლი) და საკარმიდამო ნაკვეთები;
- სოფელი კოხნარი (ბურნათი) - მეწყრული პროცესების საშიშროების ქვეშ მოქცეულია საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები;
- სოფელი კოხნარი (წიფნარი) - მეწყრული პროცესების საშიშროების ქვეშ მოქცეულია შიდა სასოფლო საავტომობილო გზა, საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი.

სამაშველო ჯგუფები სამუშაოებს იწყებენ საგანგებო სიტუაციების ზონაში.

საგანგებო შტაბის გადაწყვეტილებით, ორგანიზება უკეთდება უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის დროებითი საცხოვრებელი ფართების მოძიებას. საძიებო-სამაშველო ოპერაციების პარალელურად, მიმდინარეობს დაშავებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევა და სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანა. დაშავებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის ნ. დუმბაძის ქუჩაზე, სტადიონის სივრცეში მოეწყო კარვების ქალაქი.

საგანგებო სიტუაციების ზონაში, საგანგებო შტაბის გადაწყვეტილებით, ფუნქციონირებს საველე ოპერაციების შტაბები. საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოები გრძელდება. საგანგებო შტაბი რეაგირების ღონისძიებების კვალდაკვალ იწყებს აღდგენით სამუშაოებს. ორგანიზება უკეთდება ენერგომომარაგების, წყალმომარაგებისა და კავშირგაბმულობის აღდგენით სამუშაოებს, ასევე, ჩახერგილი გზების წმენდით სამუშაოებს. მიმდინარეობს დაზიანებული გზების აღდგენა/შეკეთება.

საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები

პრევენცია

გეგმიურად უნდა მიმდინარეობდეს შენობების სეისმომედეგობის ამაღლების პრევენციული ღონისძიებები მოქმედი სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტებისა და ნორმების შესაბამისად.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს, სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა;

დ) მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;

ე) შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება - შემოწმება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ.

დეტალური ღონისძიებები იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N4-ის (მიწისძვრა) ფარგლებში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები:

N	ღონისძიება	პასუხისმგებელი უწყება	დამხმარე ორგანიზაციები	განხორციელების პერიოდი	შენიშვნა
1	შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის ორგანიზება სეისმურად არამედეგი შენობების გამოვლენის მიზნით	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		კალენდარული წლის განმავლობაში	საჭიროების შემთხვევაში მერიის მიერ შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა
2	ჩოხატაურის ავარიული შენობა-ნაგებობების სარემონტო/გაძლიერების სამუშაოების ორგანიზება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		კალენდარული წლის განმავლობაში	საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე
3	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკომუნიკაციო საშუალებების, გადამცემი ბოძებისა და ძირითადი გამანაწილებელი პუნქტების (გაზი ელექტროენერგია,წყალ მომარაგება) მონიტორინგი, აღდგენა, შეცვლა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და სერვისების მი მიმწოდებელი ორგანიზაციები		კალენდარული წლის განმავლობაში	მერია, საკომუნიკაციო სერვისების მიმწოდებელი კომპანიები: ჩოხატაურის ა(ა)იპ ,,სერვის ჯგუფი''. სს „ენერგოპრო ჯორჯია“, შპს ,,სოკარ ჯორჯია, შპს ,, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია'' სს „სილქნეტი“, შპს „მაგთიკომი“
4	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების და გზების აღდგენა-გამაგრება.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და		კალენდარული წლის განმავლობაში	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტრო საავტომობილო

		ინფრასტრუქტურის სამსახური და ჩოხატაურის ა(ა)იპ სერვის ჯგუფი.			გზების დეპარტამენტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
ღონისძიება		პასუხისმგებელი უწყება	დამხმარე ორგანიზაციები	განხორციელების პერიოდი	შენიშვნა
1	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირებთან მომუშავე საბჭო)		ყოველ 6 თვეში ერთხელ	
2	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირებთან მომუშავე საბჭო)		ყოველ 6 თვეში ერთხელ	
3	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირებთან მომუშავე საბჭო)		ყოველ 6 თვეში ერთხელ	

მზადყოფნა

მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის დროს, პერიოდულად წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ორგანიზება უნდა გაუკეთდეს თემატურ მეცადინეობებს, ვიქტორინებს და კონფერენციებს მიწისძვრებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე. მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს როგორ მოიქცეს მიწისძვრის დროს შენობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას კავშირგაბმულობის და შეტყობინების საშუალებების საიმედო ფუნქციონირება.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების

სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

დეტალური ღონისძიებები იხილეთ ცხრილში N2

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N4-ის (მიწისძვრა) ფარგლებში გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებები:

ცხრილი N2

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი უწყება	დამხმარე ორგანიზაცია	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მიწისძვრით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია; ადმინისტრაციული სამსახური სამსახური		არანაკლებ წელიწადში ერთხელ	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი სწავლებების ჩატარება
2	სამაგიდო სწავლება მიწისძვრით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის მართვის თემატიკაზე	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია; ადმინისტრაციული სამსახური		არანაკლებ წელიწადში ერთხელ	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი სწავლებების ჩატარება
3	რისკის შემცველ ტერიტორიაზე სასიცოცხლო მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია და მათ მიერ მოწვეული ექსპერტები		საჭიროებისამებრ	მოწვეული ექსპერტების საშუალებით

	მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით				
4	სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
5	ჩოხატაურის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ წინასწარ შერჩეულ ფართების ან/და მინიმუმ 5 სასტუმროსთან მოლაპარაკებას, საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუირებულ მოქალაქეთა განთავსებისათვის და ფასთა კვლევას მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას საორიენტაციო ხარჯების გათვალისწინებისათვის.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური		კალენდარულ ი წლის განმავლობაში	
6	ჩოხატაურის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური და სოციალური და ჯანდაცვის სამსახურები უზრუნველყოფენ მოთხოვნის შემუშავებას და შესაბამისი ანგარიშგების შედგენას პირველადი მოხმარების საგნების შეძენისა და მზადყოფნისათვის (პრიორიტეტულია საძილე ტომრები, კარვები, მედიკამენტები.)	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალური შესყიდვების სამსახური		კალენდარულ ი წლის განმავლობაში	საჭიროების შემთხვევაში წითელი ჯვრის საზოგადოების ჩოხატაურის ორგანიზაცია
7	მერიის ადმინისტრაციული, საფინანსო-საბიუჯეტი და ეკონომიკისა და ქონების მართვის და სამსახურები უზრუნველყოფენ	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		კალენდარულ ი წლის განმავლობაში	

	საგანგებო სიტუაციების დროს მოქალაქეთა ევაკუაციის მიზნით საჭირო ტრანსპორტის მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ კერძო ან/და საჯარო პირებთან მოლაპარაკებების გზით, საამისოდ საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.				
8	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუირებული მოქალაქეებისთვის საჭირო მარაგების მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ საკვების მიმწოდებელ დაწესებულებებთან წინასწარი მოლაპარაკების გზით, საამისოდ საბიჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		კალენდარული წლის განმავლობაში	
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა				
9	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		ყოველ 6 თვეში ერთხელ	
10	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		ყოველ 6 თვეში ერთხელ	

	პერსონალი) ინსტრუქტირება				
11	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		ყოველ 6 თვეში ერთხელ	

რეაგირება

არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო ურბანულ პირობებში საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

ა) მოსახლეობის ინფორმირება;

ბ) საველე ოპერაციების შტაბების გაშლა და საგანგებო რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;

გ) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონებში, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის (საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების) განხორციელება;

ე) ოპერაციების კოორდინირება;

ვ) ლოჯისტიკური უზრუნველყოფა;

ზ) ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;

თ) ინფორმაციის მართვა;

ი) მოთხოვნების დამუშავება დახმარების შესახებ - ეროვნულ დონეზე;

კ) რესურსების მიღება და მართვა;

ლ) რეაგირების ძალების პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;

მ) ფინანსების მართვა;

ნ) დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, შემფასებელი პერსონალის ან ჯგუფის მოქმედებაში მოყვანა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ამოქმედება (GIS);

ო) საგანგებო სიტუაციების დროს არასამთავრობო და საერთაშორისო სამაშველო ჯგუფების გამოყენების ორგანიზება.

დაუყოვნებლივ იწყება საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო, გზების გაწმენდის ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციის ზონაში უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით, იხსნება ევაკუირებულთა შემკრები და მიმღები პუნქტები. ორგანიზება უკეთდება ევაკუირებულთა აღრიცხვის, სამედიცინო დახმარების, სურსათით, საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნებით, წყლის აუცილებელი მარაგით და საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

ორგანიზება უკეთდება მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებს.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N4-ის (მიწისძვრა) ფარგლებში გასატარებელი რეაგირების ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	საგანგებო სიტუაციის ზონაში სამაშველო მორეაგირე ჯგუფის გაგზავნა.	შსს სსდ სსმ სამსახურის სტრუქტურული ერთეულის უფროსი	,,სთ''+5 წთ	
2	საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვითარების შეფასება, ხელმძღვანელის ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღება განგაშის გამოცხადებასა და საგანგებო შტაბის შეკრების თაობაზე.	შსს სსდ სსმ სამსახურის სტრუქტურული ერთეულის უფროსი	,,სთ''+10 წთ	
3	განგაშის გამოცხადება.	შსს სსდ სსმ სამსახურის სტრუქტურული ერთეულის უფროსი	,,სთ''+15 წთ	
4	შეტყობინება ეგზავნება მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ საგანგებო მართვის შტაბის წევრებს	მერის მოადგილე	,,სთ''+20 წთ	
5	საგანგებო შტაბის შეკრება.	საგანგებო შტაბის უფროსი და მისი მოადგილე კავშირგაბმულობისა და ევაკუაციის საკითხებში	,,სთ''+30 წთ	
6	სამძებრო-სამაშველო ღონისძიებების გატარება.	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივი დანაყოფები	,,სთ''+40 წთ	
7	საევაკუაციო ქმედებებში ჩართული პერსონალის, მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა, სამკურნალო, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივი დანაყოფები, სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები, წითელი ჯვარი,	,,სთ''+1 სთ	
8	მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ევაკუაცია საგანგებო სიტუაციის განვითარების ადგილიდან.	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივი დანაყოფები	,,სთ''+1 სთ და 30 წთ	

9	მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში, შესაბამისი დაცვის ორგანიზება.	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივი დანაყოფები	,,სთ''+2 სთ	
10	მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაციის დაზუსტება და შესაბამისი ზომების მიღება	საგანგებო შტაბი	,,სთ''+1 სთ ყოველ საათში განმეორებით	
11	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირების მიზნით გადაწყვეტილებების მიღება და განკარგულების გაცემა.	საგანგებო შტაბი	,,სთ''+3 სთ	
12	საგანგებო სიტუაციების ზონიდან განახლებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო ვითარების შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დავალებების გაცემა	საგანგებო შტაბი	,,სთ''+4 სთ	
13	დამატებითი ძალების მოზიდვის საჭიროების შემთხვევაში წინადადებების მომზადება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა	საგანგებო შტაბი	,,სთ''+5 სთ	
14	ხელმძღვანელობის წინაშე (დოკუმენტირება) არსებული ვითარების შესახებ ანგარიშის მომზადება და გაგზავნა.	საგანგებო შტაბი	,,სთ''+6 სთ და შემდგომ ყოველ ექვს საათში	

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N4-ის (მიწისძვრის) ფარგლებში გასატარებელი რეაგირების ღონისძიებები:

1. ცხადდება განგაში;

2. შეტყობინება ეგზავნება მუნიციპალიტეტის საგანგებო შტაბის უფროსს;

3. საგანგებო შტაბის უფროსი დაუყოვნებლივ კრებს საგანგებო შტაბის წევრებს;

4. იწყება პირველადი ღონისძიებების განხორციელება:

ა) საჭიროების შემთხვევაში, იწყება მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ევაკუაცია საგანგებო სიტუაციის ზონიდან;

ბ) მიუხედავად ევაკუაციის აუცილებლობის ან ასეთი აუცილებლობის არ არსებობის შემთხვევაში, იწყება საგანგებო სიტუაციების მართვის ქმედებებში ჩართული პერსონალის, მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა - სამკურნალო, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;

გ) საჭიროების შემთხვევაში, იწყება მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში - შესაბამისი დაცვის ორგანიზება;

დ) სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;

ე)მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;
ვ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირება;
ზ) შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.
მართვის შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის ორგანიზება
საგანგებო შტაბის წევრებს და მათ დაქვემდებარებულ პირებს ან/და საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციაში ჩართულ სხვა პირებს შორის, კავშირი განხორციელდეს სატელეფონო საშუალებებით. საქალაქო ან მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, კავშირი განხორციელდეს სპეციალური რაციებით ან კურიერების მეშვეობით.

აღდგენა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N4-ის (მიწისძვრის) ფარგლებში გასატარებელი აღდგენის ღონისძიებები:

მას შემდეგ, რაც სიტუაცია დასტაბილურდება და ადგილზე მუშაობა გახდება უსაფრთხო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მერიის შესაბამისი სამსახურები იწყებენ აღდგენითი სამუშაოების შესრულებას:
1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური იწყებს ნანგრევების გაწმენდით სამუშაოებს;
2. ჩოხტაურის მუნიციპალიტეტის მერია ადგენს შენობების საცხოვრებლად ვარგისიანობას, მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან და დარგის ექსპერტებთან ერთად;
3. მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი ახორციელებს დაზიანებული შენობების, აგრეთვე მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის აღრიცხვა/შეფასებას;
4. ხორციელდება მატერიალური ფასეულობების გამოტანა, დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
5. მერიის შესაბამისი სამსახურების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სტიქიის ადგილზე ხორციელდება გაწმენდითი სამუშაოები და ჩახერგილების გაწმენდა;
6. გაწმენდით სამუშაოებთან ერთად იწყება სამუშაოები დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა-შემოწმება;
7. მერიის შესაბამისი სამსახურები უმოკლეს ვადებში ორგანიზებას უკეთებენ დაზიანებული შენობებისა და სხვადასხვა ინფრასტუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება/წარმოებას;
8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ეპიდსაწინააღმდეგო და სადეზინფექციო სამუშაოებს.